პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ნაძ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 4 დეკემბერი, 1943 წ. № 250 (6875). ფასი 20 კაპ.

არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით

„პრავდის“ მოწინავე — 3 დეკემბერი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავზე ამხანაგმა სტალინმა მოუწოდა წითელ არმიას, მთელ საბჭოთა ხალხს დავძაბოთ ყველა ჩვენი ძალები, რათა საბოლოოდ გავანადგუროთ მტერი და უახლოეს დროში სავსებით გაეწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელ დამპყრობთაგან. 6 ნოემბრის ისტორიულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„ომში ჩვენ მივაღწიეთ ძირფესვიან გარდატეხას ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ, და ახლა ომი საბოლოო დასასრულს უახლოვდება. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არ შეჰფერით მიღწეულით დაკმაყოფილება, თავიანთი წარმატებებით დატკბობა. გამარჯვება შეიძლება ხელიდან გავუშვათ, თუ ჩვენს რიგებში თვითდამშვიდებამ იჩინა თავი. გამარჯვებას უბრძოლველად და დაუძაბავად ვერ მოიპოვებ. მისი მოპოვება ბრძოლით ხდება. ახლა გამარჯვება ახლოა, მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე“.

ამხანაგმა სტალინმა მთელი ჩვენი შემდგომი მუშაობის საბრძოლო პროგრამა დასახა. ამხანაგ სტალინის მიერ დაყენებული ამოცანების შესასრულებლად ჩვენი პარტია მთელ საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებს. ბოლშევიკებს ხალხის ფართო მასებში მიაქვთ სტალინის სიტყვები. ისინი ახდენენ ჩვენი ქვეყნის მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის მობილიზებას ახალი შრომითი გმირობისათვის საძულველ მტერზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. ფრონტზეც და ზურგშიც ბოლშევიკები სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს გვიჩვენებენ. ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ვაჟები და ქალიშვილები ძალ-ღონის დაუზოგავად მუშაობენ საწარმოებში, რკინიგზის ტრანსპორტზე და საკოლმეურნეო სოფელში ბელადისა და მასწავლებლის ისტორიულ მითითებათა შესასრულებლად. ვაჟკაცურად და უშიშრად, თავიანთ სიცოცხლის და თვით სიცოცხლის დაუზოგავად, ბოლშევიკები ჩვენი შემტევი არმიების პირველ რიგებში მიდიან.

ამხანაგ სტალინის მოხსენება წარმოადგენს ფრონტზე ჩვენი ბრძოლისა და ზურგში სამეურნეო მშენებლობის პროგრამას. იგი მთელი პარტიული ცხოვრების უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა გახდა. ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა, მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩატარებულმა პარტიული აქტივის კრებებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გულდასმით განიხილეს თავიანთი კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ამხანაგ სტალინის მოხსენებიდან გამომდინარეობენ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ორგანიზაციულ-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, შეამოწმეს ძალთა განლაგების სისწორე, გამოავლინეს ფრონტისადმი დახმარების გაძლიერების ახალი შესაძლებლობანი.

ამ დღეებში შესდგა მოსკოვის პარტიული აქტივის კრება. დედაქალაქის ბოლშევიკებმა თავიანთი ყურადღება მიაპყრეს მუშაობის გადამწყვეტ უბნებს, ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებს. მოსკოვის მრეწველობამ 10 თვის გეგმა 103,1 პროცენტით შეასრულა. არიან საწარმოები, რომლებმაც დაამთავრეს წლიური გეგმის შესრულება. მრეწველობის მუშაობის ეს შედეგები მიღწეულია პარტიულ ორგანიზაციათა მაორგანიზებელი როლის მეოხებით. ამასთან ერთად, მოიპოვებიან ჩამორჩენილი საწარმოებიც, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ. მათს რიცხვშია საფეიქრო და ტყავეულობის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები.

პარტიულმა აქტივმა წინადადება მისცა პარტიულ მუშაკებსა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მიაქციონ ყურადღება ჩამორჩენილ საწარმოებს, დაეხმარონ მათ მოწინავეთა რიგებში ჩასადგომად. პარტიულმა აქტივმა თავისი ყურადღება მიაპყრო შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების საკითხებს. დიდი ყურადღება მიაქცია აქტივმა ზამთრის პირობებში მრეწველობის მუშაობას. მთელი ძალით ხაზგასმით იქნა აღნიშნული ელექტროენერგიის, სათბობის, ნედლეულისა და მასალების ყაირათიანად, მოზომილობით ხარჯვისა და რკინიგზის ტრანსპორტისადმი ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის საჭიროება.

დედაქალაქის ბოლშევიკებმა განიხილეს აგრეთვე პრაქტიკული ამოცანები ოლქის სოფლის მეურნეობისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დროულ, ორგანიზებულ და მაღალხარისხოვან რემონტს, მტსების სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფას. მოსკოვის 172 საწარმო ჩამოყალიბებულია ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების დამზადებაში. ქარხნების კოლექტივებმა საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა იკისრეს. მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება რეალურ და მეტად არსებითს დახმარებას გაუწევს საოლმეურნეო სოფელს.

მოსკოვის პარტიულმა აქტივმა მოსთხოვა პარტიულ ორგანიზაციებს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. გადამწყვეტი ბრძოლა თვითდამშვიდებისა და უდარდელობის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ, კომუნისტების, კომკავშირელებისა და მოსკოვის და მოსკოვის ოლქის ყველა მშრომელთა პოლიტიკური სითხიზოლის გაძლიერება.

ლენინგრადში შესდგა პარტიული აქტივის რაიონული კრებები. მიუხედავად იმისა, რომ ლენინგრადი საომარ მდგომარეობაშია, იგი წარმოადგენს ფრონტისათვის საჭიროესა და საომარ მასალათა დამამზადებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს. ლენინგრადელ ბოლშევიკებს აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ისინი ვალდებული არიან გაორკეცონ, გაასამკეცონ თავიანთი ღონისძიებანი და გამოიყენონ ყველა შესაძლებლობანი ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების აღმოსაჩენად. მივცეთ ფრონტს ყოველივე, რაც ესაჭიროება მტრის გასანადგურებლად — ამ ლოზუნგით მუშაობს ლენინის ქალაქი, მისი პარტიული ორგანიზაცია. ამისათვის რაზმავენ ლენინგრადელი ბოლშევიკები ქალაქის ყველა მშრომელთ.

პარტიული აქტივების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები ყველგან ტარდება. მათზე იხილავენ პარტორგანიზაციების ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ ამხანაგ სტალინის მითითებებიდან. ბოლშევიკების ყურადღება მიმართულია იმისაკენ, რათა გამონახულ იქნას ახალი დამატებითი რესურსები ომის საჭიროებისათვის, კიდევ უფრო ამაღლებულ იქნას მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის დონე. პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლების საკითხების განხილვა სწარმოებს თითოეული პარტიული ორგანიზაციის პრაქტიკულ ამოცანათა შესაბამისად.

მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატების ბოლშევიკები იბრძვიან ლითონის გამოდნობის გასადიდებლად, ახალ სიმძლავრეთა ვადამდე ასამუშავებლად, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ სამხრეთის მეტალურგიის აღორძინებლად.

ბაქოს ბოლშევიკები მთელ თავიანთ ყურადღებას აპყრობენ ჭაბურღილების უფრო უნაყოფო ექსპლოატაციის, ახლების ამუშავების, საექსპლოატაციო და სადაზვერვო ბურღვის ყველაზე მოწინავე და სრულყოფილი მეთოდების დანერგვის საკითხებს.

კუზბასის ბოლშევიკები იბრძვიან იმისათვის, რომ ქვანახშირის ამოღების გეგმას ასრულებდეს ყოველი უბანი და ყოველი შახტი, რომ ვადამდე შესრულდეს წლიური დავალება და ამის გადამეტებით ამოღებულ იქნას ათასობით ტონა ქვანახშირი.

ქალაქების სტალინოს, ვოროშილოვგრადის, მაკეევკის, გორლოვკის ბოლშევიკები საჭირო ზომებს იღებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ დანგრეული დონბასის მეტალურგიული და ქვანახშირის მრეწველობის სწრაფი აღორძინებისათვის.

პარტიული აქტივებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები მიმდინარეობს საქმიანად, ნაკლოვანებათა გაშლილი კრიტიკის ვითარებაში. ბოლშევიკებს სჩვევიათ მაღალი მომთხოვნელობა მუშაობაში, შეურიგებლობა ნაკლოვანებათა მიმართ, მთელი ყურადღებისა და ძალ-ღონის მიპყრობა უმთავრეს, გადამწყვეტ უბნებზე. ეს გვაძლევდა და გვაძლევს ჩვენ შესაძლებლობას უნარიანად გადავლახოთ სიძნელეები, სწორად გადავწყვიტოთ უმნიშვნელოვანესი სამხედრო. სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანები.

ყველა პარტიული ორგანიზაციის ყურადღება კვლავაც მიმართული უნდა იყოს ფრონტისათვის დახმარების აღმოსაჩენად, დამატებით შესაძლებლობათა გამონახვისა და მობილიზაციისაკენ, ჩვენი ქვეყნის ადამიანთა და მატერიალური ძალების უნარიანად გამოყენებისაკენ, გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის უსწრაფესი აღდგენისაკენ.

ქვეყნისათვის მეტი მადნის, ქვანახშირის, ნავთის, ხე-ტყის მიცემა, მეტი ლითონის გამოდნობა, მეტი ტანკის, თვითმფრინავის, ზარბაზნის, საომარი მასალის დამზადება, ფრონტზე და საწარმოებში მიმავალი ტვირთების შეუფერხებელი გატარების მოწყობა, ხელმწიფოსათვის პურისა და სურსათის ჩაბარების ვალდებულებათა მთლიანად და დროულად შესრულებისა უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესება — ყოველივე ეს საბრძოლო და გადაუდებელი საქმეებია, რომლებზეც ბეჯითად და დღითი დღე უნდა იმუშაონ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ლენინ-სტალინის პარტია გვასწავლის, რომ ჩვენს რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს უდარდელობას და თვითდამშვიდებას, მით უფრო დაუშვებელია ამის მოთმენა ახლა, როდესაც ჰიტლერელი დამპყრობლები ჯერ კიდევ სთელავენ ჩვენს მიწა-წყალს და სჩადიან შემაძრწუნებელ დანაშაულობას, როდესაც მილიონობით საბჭოთა ადამიანები კიდევ იტანჯებიან ფაშისტურ ტყვეობაში.

უდარდელობა და თვითდამშვიდება, მომთხოვნელობის შემცირება, ნაკლოვანებების მოთმენა ასუსტებს ჩვენს დახმარებას ფრონტისადმი, აძნელებს ჩვენს ბრძოლას. ამიტომ არ შეიძლება მოვითმინოთ არც ქარხნებისა და ფაბრიკების მიერ სახელმწიფო გეგმის შესრულებაში ჩამორჩენა, არც კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარებათა შესრულების ჩამორჩენა, არც ორგანიზაციული-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ოდნავი შესუსტება.

ომი მკაცრი გამოცდაა. იგი მოითხოვს მთელი ხალხის ყველა მატერიალურ და სულიერ ძალთა მობილიზაციას. საბჭოთა ხალხის დიდი თავდადებული ბრძოლის ავანგარდში მიდის ბოლშევიკთა პარტია, რომელიც ალფრთოვანებს და რაზმავს საბჭოთა ადამიანებს ახალი ძალ-ღონისა და ახალი გმირობის გამოსაჩენად, ამხანაგი **სტალინის** ისტორიულ მითითებათა შესასრულებლად, პარტია, რომელსაც სასრულებლად, პარტია, რომელსაც მიჰყავს ჩვენი ხალხი გერმანელ დამპყრობლებზე საბოლოო გამარჯვებისაკენ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

3 დეკემბრის განმავლობაში ბოგმელის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევას, ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები შაპჩიცი, დოგსკი, სვერჟენი, მალაშკოვიჩი, დოგცი, კრასნიცა, კამენკა რისკოვსკაია, ფუნდამენკა, ნადეჟდინო, ხიმი, სტოლპნია, უგლი, გუდა ლიუშევსკაია, ნოვაია სლოგოდა, სტარაია რუდნია, პირეკიჩი, კრუგოვეცი, რუდენკა, სკეპნია და რკინიგზის სადგური სალტანოვკა.

ჩერკასის რაიონში ჩვენი ჯარები იერიშობდნენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს.

კრემენჩუგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლებიდან შედეგად დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ნოვოგეორგიევსკი, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები სტარო-ლიპოვო, ნოვო-ლიპოვო, კლოჩკოვო, კალაბოროკი, გაბინოვკა, ჩერნიკოვკა, ნიკოლსკი, ფედორკი, ნოვო-პილიპოვკა და საკვანძო რკინიგზის სადგური კორისტოვკა.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა.

2 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 17 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 20 თვითმფრინავი.

* * *

ბოგმელის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ჩვენმა მებრძოლებმა, რომლებიც წინ მიიწევდნენ ბოგმელ-ელობინის რკინიგზით, დაიკავეს სადგური სალტანოვკა. მტერი საბჭოთა ჯარების დარტყმებით უკან იხევს და დიდი ზარალი მოსდის. ერთ რაიონში გერმანელები ცდილობდნენ გამაგრებულიყვნენ მათ მიერ წინასწარ შექმნილ თავდაცვითს ზღუდეზე. 6 შენაერთის ნაწილებმა წარმატებითი მანევრით შემოუარეს მტერს. ჰიტლერელებმა გარშემორტყმის საფრთხის გამო უკანდახევა იწყეს და ამ მომენტში მათზე იერიში მიიტანეს ჩვენმა ქვეგანაყოფებმა. მოსპობილია 700-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და მტრის 8 ტანკი. ხელთ ვიგდეთ 18 ქვემეხი და მსხვილყალიბიანი ნაღმსატყორცნი, საომარი მასალის 3 საწყობი და სხვა დავლა.

ჩვენმა მებრძოლებმა გაათავისუფლეს 10 ათასი საბჭოთა მოქალაქე, რომელთაც გერმანელები მიერეკებოდნენ გერმანიის კატორღაში.

* * *

ჩერკასის რაიონში გერმანელებს იერიშები მოჰქონდათ და ცდილობდნენ უკან დაებრუნებინათ პოზიციები, რომლებიც მათ უკანასკნელ ბრძოლებში დაჰკარგეს. ერთ უბანზე ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მტრის 7 კონტრიერიში და მოსპეს ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე გერმანელთა არაერთგზის იერიშებს აგრეთვე არ ჰქონია წარმატება. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 7 ტანკი.

* * *

კრემენჩუგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები გავიდნენ მტრის თავდაცვის მნიშვნელოვანი კვანძის — ქალაქ ნოვო-გეორგიევსკის მისადგომებზე დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. გერმანელები ეყრდნობოდნენ თხრილებისა და სანგრების ფართოდ განვითარებულ ქსელს, რომლებსაც იფარავდა დანაღმული მინდვრები და მავთულხლართიანი დაბრკოლებანი, და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. გააფთრებული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა დღეს დაიკავეს ქალაქი ნოვო-გეორგიევსკი — კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი. ქალაქის ქუჩებში დარჩა მტრის ასობით გვამი. გერმანელებს წავართვეთ 12 ტანკი, ბევრი ქვემეხი, ტყვიამფრქვევები, 5 საწყობი სურსათიანად და სხვა დავლა. წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს რკინიგზის საკვანძო სადგური კორისტოვკა. ამ სადგურისათვის ბრძოლებში მტერს განსაკუთრებით დიდი ზარალი მოუვიდა.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ ჩასხირა მტრის საგუშაგო ხომალდი, 2 თვითმავალი საფეხსანტო კარჭაპი და 2 კარჭაპი სამზედრო ტვირთიანად.

* * *

ბელოსტოკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ააფეთქა გერმანელთა სამხედრო ეშელონი. მატარებელი ლანდაგიდან გადავარდა. პარტიზანებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჟლიტეს 100-ზე მეტი ჰიტლერელი. ბელოსტოკელ პარტიზანთა სხვა რაზმმა ააფეთქა რელსები რკინიგზის დიდ უბანზე. ვიწროლიანდაგიან რკინიგზაზე საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს და მოსპეს რკინიგზის შემადგენლობა ტვირთიანად. მატარებლის გერმანელი მცველები ტყვედ არიან წამოყვანილნი.

* * *

გერმანელთა 355-ე ქვეითი დივიზიის 866-ე გრენადერთა პოლკის ტყვე ჯარისკაცმა ჰაინც კალმუსმა განაცხადა: „საბარშო ბატალიონი, რომლის შემადგენლობაშიც რუსეთში მოვედი, განკუთვნილი იყო გერმანელთა 161-ე ქვეითი დივიზიის შესავსებად. მაგრამ ფრონტზე არევ-დარევა სუფევდა. ჩვენმა ბატალიონმა სხვა ნაწილებთან ერთად უკან დაიხია და დიდხანს ეძებდა თავის დივიზიას. ბევრმა ჯარისკაცმა ისარგებლა არევ-დარევით და აქეთ-იქით გაიქცა. 900 კაციდან ნახევარზე ნაკლები დარჩა. ოქტომბერში გავიგეთ, რომ 161-ე ქვეითი დივიზია დამარცხდა, მისი შტაბი კი საფრანგეთში წავიდა. ჩვენი ბატალიონის ნაშთები 355-ე ქვეითი დივიზიის 866-ე გრენადერთა პოლკს გადასცეს.

ოქტომბრის განმავლობაში 355-ე დივიზიამ ოთხჯერ მიიღო შევსება, სულ დაახლოებით 3 ათასი კაცი. მაგრამ ზედიზედ მოსულმა სამარშო ბატალიონებმა ვერ შესძლეს უდიდესი ზარალის შევსება. ფრონტზე ყოფნის ორი თვის განმავლობაში ჩვენი ბატალიონისაგან სულ 40 კაცი და დარჩა“.

* * *

გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები ძალით მიერეკებიან გერმანიის კატორღაში მათ მიერ დროებით ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მშვიდობიან მოსახლეობას. ჰიტლერელები დახვრეტის მუქარით აიძულებენ მოზრდილებს, მოზარდებსა და ბავშვებს ქვეითად იარონ და არავითარ სურსათს არ აძლევენ. ნოემბრის 20-იან რიცხვებში ლატვიის სსრ დასახლებულ პუნქტ ტილჟის მახლობლად მიდიოდა საბჭოთა მოქალაქეების კოლონა, რიცხვით 1.500 კაცი. ბევრი მათგანი მოიქანცა და გზის განგრძობა აღარ შეეძლო. გერმანელი მობადრაგენი თოფის კონდახს სცემდნენ ქალებსა და ბავშვებს და ისე მიერეკებოდნენ. ავადმყოფებსა და ჰოქანცულებს ფაშისტი ჯალათები იქვე გზასთან ხვრეტდნენ. ბსკოვის რაიონში, კრესტოვკას ბანაკებში, თავი მოუყარეს რამდენიმე ათას მცხოვრებს ლენინგრადის ოლქის დროებით ოკუპირებული რაიონებიდან. გერმანელები მათ ფაშისტურ ტყვეობაში მიერეკებიან. უკვე თვეზე მეტი ხნის განმავლობაში საბჭოთა მოქალაქენი, მათს რიცხვში ქალები და ბავშვები ცის ქვეშ ცხოვრობენ. ყოველდღე ბანაკებში სიცივეთ, შიმშილითა და ავადმყოფობით ათობით ადამიანი კვდება.

ბელორუსი პარტიზანები ანადგურებენ მტერს

მოქმედი არმია, 3 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ბელორუსიის პარტიზანები დღითიდღე სულ უფრო და უფრო ძლიერ ურტყამენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. ფრუნზეს სახელობის რაზმმა, რომელიც მინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს, თვენახევრის განმავლობაში—1 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე—ლიანდაგიდან გადაგდო მტრის ორი სამხედრო ეშელონი, ნაღმებზე აიფეთქა და თოფტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპო 57 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად. ამ ხნის განმავლობაში სახალხო შურისმგებლებმა გაჟლიტეს 290 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გარდა ამისა, ამ რაზმის პარტიზანებმა მოსპეს ტელეგრაფისა და ტელეფონის ხაზი 49 კილომეტრ მანძილზე, დასწვეს გზატკეცილის 25 ხიდი.

პოლესიის პარტიზანთა დიდმა რაზმმა სამი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო მტრის 4 ეშელონი კალინკოვიჩი-კაპცევიჩის უბანზე. მარცხის დროს დამტვრეულია 2 ორთქლმავალი, 15 ვაგონი მტრის ცოცხალ ძალიანად და 20 პლატფორმა ტექნიკიანად. საფრენიდან ამ დღეებში სროლა აუტეხეს 11 ეშელონს; დაზიანებულია 11 ორთქლმავალი.

ერთ-ერთ უბანზე საბჭოთა პატრიოტებმა დაანგრიეს ლიანდაგი 7 კილომეტრ მანძილზე და ჩაშლეს მტრის მატარებელთა მოძრაობა ფრონტის ხაზისაკენ.

აი ერთი პარტიზანული რაზმის მოქმედების შედეგები ორი დღის განმავლობაში. კალინკოვიჩი-კლინსკის უბანზე ლიანდაგიდან გადაგდებულია მტრის ეშელონი ცოცხალ ძალიანად. მარცხის დროს დამტვრეულია ორთქლმავალი და 6 ვაგონი, მოკლული და დაჭრილია 125-მდე გერმანელი. გზატკეცილზე აფეთქებულია 5 ავტომანქანა, მოკლული და დაჭრილია 25 ჰიტლერელი. სხვა უბანზე აფეთქებულია გერმანელთა ეშელონი, რომელიც ფრონტისაკენ მიდიოდა ტექნიკიანად და ცოცხალ ძალიანად. ამ ჯერად მოსპობილია ორთქლმავალი, 12 ვაგონი, მოკლული და დაჭრილია 127 ჯარისკაცი და ოფიცერი.

მიტინგი განთავისუფლებულ კიევში

27 ნოემბერს კიევში, მოედანზე ტარას შევჩენკოს ძეგლთან, შესდგა საერთო-საქალაქო მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო უკრაინის დედაქალაქის 40 ათასმა მცხოვრებმა. ტრიბუნაზე იყვნენ უკრაინის ბოლშევიკთა ხელმძღვანელი ნ. ს. ხრუშჩოვი, წითელი არმიის სარდლობის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კიევის მუშებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. სერდიუკმა. შემდეგ გამოვიდნენ ცნობილი უკრაინელი პოეტი, უკრაინის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ბაჟანი, ქარხანა „ლენინსკაია კუზნიცას“ უძველესი მუშა ამხ. ე. ა. გრაჩოვი, რომელმაც დამსწრეთ უამბო იმ საშინელ დღეებზე, რაც კიეველებმა განიცადეს გერმანელთა ოკუპაციის დროს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი თანამშრომელი ამხ. ი. მ. მარკოვსკი. ყველა ორატორის სიტყვები გამსჭვალული იყო ღრმა მადლობით წითელი არმიისა და დიდი მხედართმთავრის, ამხანაგ სტალინისადმი უკრაინის დედაქალაქის განთავისუფლებისათვის მტრის ტყვეობიდან.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ კიევის მშრომელები ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე.

— სიყვარულისა და მადლობის ჩვენი პირველი სიტყვებით,—ამბობს ამხ. ხრუშჩოვი,— ჩვენ მივმართავთ იმას, ვინც მოაწყო დარტყმა ჩვენი წითელი არმიისა, რომელმაც გაათავისუფლა ჩვენი სახელოვანი კიევი,—ჩვენს საყვარელ ამხანაგ სტალინს.

ამხანაგი ხრუშჩოვი მიტინგის მონაწილეთა სახელით მადლობას უძღვნის წითელი არმიის გენერლებს, ოფიცრებსა და მებრძოლებს, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ კიევის განთავისუფლებისათვის, და აცხადებს, რომ სამარადისო იქნება ხსოვნა მამაცი საბჭოთა მეომრებისა, რომლებიც დაეცნენ კიევისათვის ბრძოლებში, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

— შორს აღარ არის ის დღე,—ამბობს ამხ. ხრუშჩოვი,—როცა საბჭოთა კავშირის მთელი მიწა-წყალი გაშენდილ იქნება გერმანელ დამპყრობთაგან.

ამხ. ხრუშჩოვმა მოუწოდა კიევისა და მთელი უკრაინის მშრომელებს გააათკეცონ თავიანთი მეცადინეობა ფრონტის დასახმარებლად, შეუდგნენ მტრისაგან დანგრეული ქალაქებისა და კოლმეურნეობების, სკოლებისა და უნივერსიტეტების აღდგენას, მიაღწიონ მეურნეობის, კულტურის, ხალხის კეთილდღეობის ახალ აღმავლობას, რათა იგი გაიფურჩქნოს და კიდევ უფრო მდიდრულად ცხოვრობდეს, ვიდრე ომამდე ცხოვრობდა.

მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო მისალმება დიდი რუსი ხალხისადმი, რომელიც წინ უძღვის საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს წმიდა ბრძოლაში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინისადმი. (საკდესი).

ხარკოვში ამუშავდა ტრამვაი

ხარკოვის ტრამვაის მეურნეობა გერმანელებმა სავსებით დაანგრიეს. ხარკოველი ტრამვაელები თავდადებულად მუშაობენ ტრამვაის აღსადგენად.

ამ ეამად საექსპლოატაციოდ გადაეცა ტრამვაის 25 მატარებელი. ტრამვაის მოძრაობა დაიწყო ძირითად მარშრუტებზე—საერთო სიგრძით 32 კილომეტრზე. (საკდესი).

რუზველტის, სტალინისა და ჩერჩილის შეხვედრა თეირანში

თ ე ი რ ა ნ ი, 3 დეკემბერი (საკდესი). ამ დღეებში თეირანში შესდგა სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელების — რუზველტის, ჩერჩილისა და სტალინის კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლები. კონფერენციაზე განხილულ იქნა გერმანიის წინააღმდეგ ომის წარმოების საკითხები, აგრეთვე მთელი რიგი პოლიტიკური საკითხები. მიღებულია სათანადო გადაწყვეტილებანი, რომლებიც გამოქვეყნდება.

საბჭოთა კავშირის გმირი ვასილ სიმონის-ძე ჩოჩიევი

ოსი ხალხის მამაც შვილს უფროს ლეიტენანტ ვასილ სიმონის-ძე ჩ ო ჩ ი ე ვ ს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული ზოლის გარღვევისა და ქალაქ მელიტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წ. 1 ნოემბრის ბრძანებულებით მიენიჭა **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცა **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“.**

ვასილ ჩ ო ჩ ი ე ვ ი დაიბადა 1917 წელს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფელ ორტევში. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა ქ. თბილისში 1936 წელს. მომავალი გმირის ოცნება იყო მფრინავი გამხდარიყო და იგი აეროკლუბში შევიდა. აეროკლუბის სრული კურსი შენ „ფრიადზე“ დაამთავრა და იგი დაინიშნა მფრინავ-ინსტრუქტორად ამავე აეროკლუბში, სადაც იგი მთელ თავის ცოდნას და ენერგიას ახმარდა საბჭოთა ავიაციისათვის მფრინავთა კადრების მომზადების საქმეს.

1941 წლის დამდეგს ამხ. ჩოჩიევი შევიდა საავიაციო სკოლაში. როდესაც ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს, ამხ. ჩოჩიევი ფრონტზე წავიდა და თავისი თვითმფრინავით ჰაერიდან ულმობლად ანადგურებს საძულველ მტრებს.

სტალინური შევარდენის საგმირო საქმეებზე მოგვითხრობს გმირის დედისადმი გამოგზავნილ წერილში ავიანაწილის შტაბის უფროსი: „სამამულო ომის პერიოდში თქვენმა შვილმა 170-ჯერ წაიყვანა ბრძოლაში თავისი საბრძოლო მანქანა. მან მოახდინა 170 წარმატებითი საბრძოლო გაფრენა. ვასომ პირადად მოსპო მტრის 35 ტანკი, 40 ავტომანქანა ტვირთიანად, გაჟლიტა მტრის 160-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი“.

„ნაწილის სარდლობა გულითად მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ თქვენი შვილი ვასილ სიმონის-ძე ჩოჩიევი აღგიზრდიათ ჩვენი სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით... გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მან თავი გამოიჩინა ჩვენი სამშობლოს ნამდვილ პატრიოტად, საუკეთესო მფრინავად... ჩვენ ვამაყობთ მისი საბრძოლო მუშაობით“, — სწერს ვასილის დედას ევგენია ჩოჩიევას იმ ნაწილის მეთაური, სადაც ამხ. ჩოჩიევი მსახურობს.

გაზეთ „სტალინსკი სოკოლის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „გერმანელებს გულდასმით ჰქონდათ შენიღბული თავიანთი საცეცხლე წერტილები, რის გამო ჩვენი არტილერისტები ვერ ახერხებდნენ მათს ჩახშობას. სახმელეთო ქვეგანაყოფის მეთაურმა უბრძანა მოიერიშეთა მეთაურს მოესინჯათ ხელი და მოესპოთ მტრის საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეები. რამდენიმე წუთის შემდეგ ჰაერში აფრინდა რამდენიმე „ილიუშინ-2“ გამოცდილი მძღოლების რიაბჩევსკისა და უფროს ლეიტენანტ ჩოჩიევის მეთაურობით... მოიერიშეები პიკირებით ეშვებოდნენ მცელავ ფრენამ

ახალი შრომითი აღმავლობა ბელადის მოხსენების პასუხად

პური—სახელმწიფოს

თელავი („კომუნისტის" ხაკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა დიდი სტალინის მოწოდებას ფრონტისადმი დახმარების კიდევ უფრო გაძლიერებით უპასუხეს. კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 10 დღის განმავლობაში სახელმწიფოს მიჰყიდეს 900 ტონაზე მეტი მარცვლეული, აქედან კოლმეურნეებმა — 95 ტონა. ფშავლის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარეა გ. ბაბუევი, სახელმწიფოს მიჰყიდა 6 ტონა მარცვლეული, არაშენდის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 5.888 კილოგრამი, აკურის კოლმეურნეობა „მოწინავემ" — 5.848 კილოგრამი, კისისხევის კოლმეურნეობა „სოციალიზმის კარმა" — 4.598 კილოგრამი, ლაფანყურის კოლმეურნეობა „შრომის დროშამ" — 4.184 კილოგრამი და სხვ.

სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის საქმეში დიდ აქტივობას იჩენენ კოლმეურნეებზე. ვარდისუბნელმა კოლმეურნეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4 ტონა მარცვლეული, შალაურელებმა—5 ტონა და ა. შ. სოფ. ოფეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ალექსი თვალიაშვილმა და დათო მამუკოვმა სახელმწიფოს ოთხმოც-ოთხმოცი კილოგრამი მარცვლეული მიჰყიდეს.

მარცვლეულის შესყიდვა წარმატებით გრძელდება.

ს. ქოჩლაძე

* * *

ლაგოდეხი („კომუნისტის" ხაკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები, რომლებმაც ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულებები, აქტიურად გამოხმაურნენ მოწოდებას სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის შესახებ. კოლმეურნეებმა თავიანთი პირადი მარაგიდან სახელმწიფოს მიჰყიდეს 125 ტონა მარცვლეული, ხოლო მტს-ის 1944 წლის ნატურანაზღაურების ანგარიშში შეიტანეს 104 ტონა მარცვლეული.

ბ. ბერიკაშვილი

ბორჯომი („კომუნისტის" ხაკ. კორ.). ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებმა დიდი სტალინის ისტორიული მოხსენების საპასუხოდ ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოიის ჩაბარების 1943 წლის გეგმა. ჩაბარებულია 177.248 კილოგრამი სოია, ბეგმის 101,9 პროცენტი. ამასთან ერთად რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 28.000 კილოგრამი მარცვლეული.

საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის მდივანი შ. ხიდაშელი
რაიხალკომის თავმჯდომარე გ. ბიწაძე

* * *

წითელწყაროს რაიონმა საშემოდგომო თესვის გეგმა 30 ნოემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა. დათესილია 19.100 ჰექტარი. სოფელ სანბათლოს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ნერსესოვი) გეგმის გადამეტებით დასთესა 65 ჰექტარი, მაჩხანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი)—50 ჰექტარი, სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელმა არბოშიკმა" (თავმჯდომარე ვ. სეფიაშვილი)—50 ჰექტარი, წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ჯანყარაშვილი) — 64 ჰექტარი, წითელწყაროს პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ნიკოლაიშვილი) — 45 ჰექტარი.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი შ. გელაშვილი
რაიხალკომის თავმჯდომარე ვ. მირიანაშვილი

ქვანახშირის ამოღების გეგმა ვადამდე შეასრულეს

ტყიბული („კომუნისტის" ხაკ. კორ.). ნოემბერში სტალინის სახელობის მაღაროს მუშათა კოლექტივმა თანდათანობით გადიდა ქვანახშირის ამოღება და 29 ნოემბერს ღამის ცვლაში 34 ტონა ქვანახშირის გადამეტებით დაამთავრა თვიური გეგმის შესრულება. 30 ნოემბერს მაღაროელებმა ასობით ტონა ქვანახშირი გამოიღეს გეგმის გადამეტებით წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის განსაკუთრებული ფონდისათვის.

ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი მესამე საექსპლოატაციო უბნის (უფროსი ამხ. პ. ნანიკაშვილი) მუშათა კოლექტივმა. ნოემბრის საწარმოო დავალება პ. ნანიკაშვილის უბანმა 28 ნოემბერს შეასრულა. ამ უბანს 29 ნოემბერს გეგმის ზვით ამოღებული ჰქონდა 222 ტონა ქვანახშირი.

პ. ნანიკაშვილის უბანში ყველა ცვლა დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმას. განსაკუთრებით კარგად მუშაობს ის ცვლა, რომელსაც ამხ. გ. გაბელაშვილი ხელმძღვანელობს. გაბელაშვილის ცვლამ 26 ნოემბერს დაამთავრა ქვანახშირის ამოღების თვიური გეგმის შესრულება, ხოლო 29 ნოემბრისათვის დავალება 108,7 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. თვიური გეგმა 2-3 დღით ადრე შეასრულეს კ. დალალიშვილისა და ა. კუბლაშვილის ცვლებმა. ამხ. პ. ნანიკაშვილის უბანში მუშაობენ სემიეოლოსელები—ა. ჭათამაძე, თ. ნანიკაშვილი, ა. ქათამაძე და სხვები, რომლებმაც ექვს-ექვს სანგრევში მუშაობით ნოემბერში 3-4 თვის გეგმები შეასრულეს.

ქვანახშირის ამოღების გეგმების შესრულებაში ჩამორჩებოდა მეორე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც ამხ. ს. გაბრიაძე ხელმძღვანელობს. ბელადის მოწოდების საპასუხოდ მეორე უბანში მომუშავე მაღაროელებმა ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს. ნაკისრი ვალდებულებები მათ უკვე გაანაღდეს—თვიური გეგმა მთლიანად შეასრულეს. გაბრიაძის უბანში მუშაობენ ცვლები ორდენოსან ქ. ბეწკენაძის, მ. ხაინდრავას და ვ. სახვაძის ხელმძღვანელობით. ისინი ერთმეორეს ეჯიბრებიან მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის ამოღებაში.

ამხ. გაბრიაძის უბანზე განსაკუთრებული წარმატებით მუშაობენ სემიეოლოსელები ს. ლაფერაძე, ს. ლანჩავა, ნ. სოფრომაძე და სხვ., რომლებიც ხუთ-ხუთ სანგრევს სწევენ წინ ყოველდღიურად და წარმატებებს აღწევენ მეზობელ მესამე საექსპლოატაციო უბანში მომუშავე სემიეოლოსელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ეს მიღწევები სტალინის სახელობის კოლექტივმა მოიპოვა სემიეოლოსური მეთოდით მუშაობის ფართოდ დანერგვით და სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისადმი სერიოზული ყურადღებით.

დ. საბელაშვილი

ახალგაზრდა მეშახტეების წარმატებანი

ტყვარჩელი („კომუნისტის" ხაკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტის მერვე უბანზე მუშაობს ახალგაზრდა მეშახტეთა ბრიგადა, რომელსაც მოწინავე ახალგაზრდა სემიეოლოსელი ამხ. გიგი სტურუა ხელმძღვანელობს. მეშახტეთა ამ ბრიგადამ თავი ისახელა ხალხთა ბელადის დიდი სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენების საპასუხოდ ნაკისრი ახალ საწარმოო ვალდებულებათა შესრულებაში. ბრიგადის წევრებმა იკისრეს ცვლის გეგმების მთლიანად შესრულების უზრუნველყოფა. ნოემბრის მეორე დეკადიდან ახალგაზრდა მეშახტეებმა შესანიშნავად გააუმჯობესეს მუშაობა. ისინი ცვლის ბრიგადამ ერთ-ერთ ადგილებს 150-170 პროცენტით ასრულებენ. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ამხ. ა. ცაცუა, თოფურია და შაპოვალოვი.

ამხ. გ. სტურუას ბრიგადის წევრები ტყვარჩელის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში სწავლობენ და თან შახტში მუშაობენ. მათი სტახანოვური მუშაობის შედეგად უბანმა თავი დაიწერა ჩამორჩენას. თვიური გეგმა ამ უბანზე 20 ნოემბრის შესრულებული იყო 107 პროცენტით.

ა. ქალატოზაშვილი

სპილენძსაგაკეთი ქარხნის კოლექტივი მოწინავეთა რიგებშია

დიდი სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ ახალი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია თბილისის სპილენძსატეკი ქარხნის მუშათა კოლექტივში (ქარხნის დირექტორი ამხ. კ. მაღლაკელიძე, პარტიიურომ მდივანი ამხ. ე. არუთინოვი). ქარხანაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, მუშათა კოლექტივმა ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრა. ვალდებულებები მათ უკვე საქმით გაანაღდეს.

მდნობელთა ბრიგადამ, რომელსაც სამამულო ომის ინვალიდი ამხ. ვ. ბენდიაშვილი ხელმძღვანელობს, იკისრა ნოემბრის საწარმოო გეგმის 200 პროცენტით შესრულება. ამხ. ბენდიაშვილის ბრიგადამ ნაკისრი ვალდებულება უკვე გაანაღდა და ნოემბრის გეგმა ვადაზე ათი დღით ადრე, 20 ნოემბრისათვის, 250 პროცენტით შეასრულა. ამ ბრიგადის მოწინავე მუშები მ. დავითაშვილი და დ. სილაგაძე გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების დღიურ ნორმებს.

ქარხანას ჰყავს მოწინავე მუშები—მ. ანთიძე, ლ. დოლიძე, გ. ტარაშვილი, გ. ბერიაშვილი, გ. კიპაროიძე და სხვ., რომლებიც ნაკისრ საწარმოო დავალებებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევა ამ ქარხნის ძველი მუშა ბრიგადიერი ბ. ახობაძე. იგი ქარხანაში 1904 წლიდან მუშაობს და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მუშებში. ბ. ახობაძის ბრიგადამ აწარმოა სტალინის ისტორიული საოქტომბრო მოხსენებასთან დაკავშირებით ვალდებულება იკისრა ნოემბრის საწარმოო გეგმა 160 პროცენტით შეასრულებინა. ბრიგადამ ეს დავალება 180 პროცენტით შეასრულა.

ქარხნის კოლექტივმა ბელადის საოქტომბრო მოწოდებისა და სსრ კავშირის შაბი მეტალურგიის მუშაკთა მიმართვის პასუხად ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით გაანაღდა ნოემბრის საწარმოო გეგმა ოდაზე ადრე და გადაჭარბებით არის შესრულებული. ქარხნის კოლექტივმა ნოემბერში ქვეყანას და ფრონტს გეგმის ზვით 58.000 მანეთის პროდუქცია მისცა და დაზოგა სათბობი—20 პროცენტით, ელექტროენერგია—23 პროცენტით და ლითონი—4 პროცენტით.

ლ. სარჯველაძე

წლიური საწარმოო გეგმა შეასრულეს ვადაზე ადრე

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიულმა მოხსენებამ და წითელი არმიის გამარჯვებებმა ახალი საწარმოო აღმავლობა გამოიწვიეს თბილისის მექანიკური საბრეშმეულეულის ფაბრიკის მუშათა კოლექტივში. ფაბრიკის მუშებს შორის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ახალი საწარმოო გამარჯვებების მოსაპოვებლად. ფაბრიკის კოლექტივმა ვადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა, ხოლო ნოემბრის საწარმოო დავალება შესრულებულია 138 პროცენტით.

ფრონტელის ცოლმა ამხ. მ. მარგველაშვილმა დიდი სტალინის ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებასთან დაკავშირებით იკისრა დღიური ნორმის 150 პროცენტით შესრულება. ნაკისრი ვალდებულება მან ფაქტიურად 170 პროცენტით გაანაღდა.

ფრონტელი თავდადებით მუშაობენ მუშები—ს. ნასყიდაშვილი, ზ. შოვნაძე, ა. ვართანოვა (ყოფილ ქვაშვილის კომიტეტის მდივანი), თ. გეგეშიანი, ელ. ფეიქრიშვილი და სხვ., რომლებიც დღიურ საწარმოო პროგრამას 204—234 პროცენტით ასრულებენ.

ლ. ესეშვილი

ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ

ფოთი („კომუნისტის" ხაკ. კორ.). თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიულმა საოქტომბრო მოხსენებამ და 7 ნოემბრის ბრძანებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ქ. ფოთის რკინიგზის ტრანსპორტის მუშებს შორის. მათ ნოემბრის გეგმა ვაგონების დატვირთვის დარგში 196,7 პროცენტით შეასრულეს, ხოლო გადმოტვირთვის დარგში — 122.9 პროცენტით, ვაგონების მოცდენა ნოემბერში შემცირებულია 3 საათით.

ვალდებულებათა განაღდებით თავი ისახელეს ორდენოსანმა ა. მიქელაძემ, ვაგონების გადამბმელმა გვასალიამ, ვაგონების შემკეთებელმა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ტ. ღუნაია ხელმძღვანელობს და სხვ.

ნოემბრის საწარმოო გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ლიანდაგის შემკეთებელი მუშები მ. გაბელაია და ნ. ნადარაია, რომლებმაც 145 პროცენტით შეასრულეს გამომუშავების დღიური ნორმები.

სადგ. ფოთის რკინიგზელებმა 22 ნოემბერს დღიური დავალება 160 პროცენტით შეასრულეს.

ვ. გუჯაბიძე

თავდაცვა-ავიაქიმის კადრების მოამზადება

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს საპაერო ქიმიური თავდაცვის რესპუბლიკურმა სკოლამ ზაფხულისა და ზამთრის პერიოდში მოამზადა 1.000-ზე მეტი ინსტრუქტორი. ამავე ხნის განმავლობაში დადასამზადებელი კურსები წარმატებით დაამთავრა 2.000-მდე ინსტრუქტორმა.

დიდ მუშაობას ეწევა სკოლა აგრეთვე რესპუბლიკის რაიონებში. ოქტომბერ-ნოემბერში სკოლამ თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების ინსტრუქტორების მოსამზადებლად თავისი მეთაურები გაგზავნა გორში, აბაშაში, ბორჯომში, ახალქალაქში, დუშეთსა და სხვა ქალაქებში.

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა პრაქტიკული ჩვევების შეძენას. მეცადინეობა იწყება მინდვრად გასვლით. (საქდესი).

„კომუნისტის" წერილების კვალდაკვალ

დაუდევრობისათვის

ვანის რაიონიდან რედაქციაში მიიღო წერილი სოფ. შუამთაში მასწავლებელთა მომარაგების საქმეში დამახინჯების შესახებ, წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომს.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი ამხ. კაკაბაძე გვაცნობებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. აგვისტოში პურით მომარაგების სიიდან შუამთის სოფლსაბჭოს მუშაკების დაუდევრობის შედეგად, გამოტოვებული იყო 7 მასწავლებელი. ამის გამო რაიკომის ბიურომ შუამთის სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს მაჭარაძეს გამოუცხადა საყვედური, ხოლო სოფლსაბჭოს მდივანს რ. ფეტვარაძეს მიეცა გაფრთხილება.

ჩრდილოეთის ფლოტი. წყალქვეშა ნავი საბრძოლო დავალების შესასრულებლად მიდის. ფოტო ვ. კოვრიგინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

დეკემბერი

ინგლისის საკითხების საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომა

ალჟირი, 1 დეკემბერი (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). გუშინ შესდგა იტალიის საკითხების საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომა, რომელიც ძირითადად მიეძღვნა საორგანიზაციო საკითხებს. საბჭომ მოისმინა გენერალ ეიზენჰაუერის შტაბის უფროსის გენერალ-მაიორ სმიტისა და გენერალ ჰოლმსის ცნობები იტალიის მდგომარეობის შესახებ.

საბჭოს პირველ სხდომაზე თავმჯდომარეობდა რენე მასიგლი, საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენელი რენე მასიგლი.

ინგლისის თვითმფრინავების თავდასხმა ბერლინზე

ლონდონი, 3 დეკემბერი (საკდესი). როგორც ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, 2 დეკემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ ბერლინს. ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. „მოსკიტო" თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ობიექტებზე დასავლეთ გერმანიაში.

ამ ოპერაციებიდან არ დაბრუნებულა 41 თვითმფრინავი.

მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა ყაყაჩოვშანავების ბაზას მარსელში

ლონდონი, 2 დეკემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ დღეს ჩრდილოეთ აფრიკის საჰაერო ძალების მძიმე ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს გერმანიის წყალქვეშა ნავების ბაზაზე მარსელში.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 3 დეკემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ 30 ნოემბერს ღამით მოკავშირეთა საესკადრო ნაღმოსნებმა სროლა აუტეზეს დურაკოს (ალბანეთის სანაპირო). სროლის შედეგად დიდი ხანძარი გაჩნდა. მტრის სანაპირო ბატარეიები არაზუსტი სროლით უპასუხებდნენ.

იტალიის ადრიატიკის სანაპიროზე მოკავშირეთა ჯარებმა განახორციელეს შემდეგი წინსვლა სან ვიტო კიოტინოს მიმართულებით. მიუხედავად მტრის მიერ წინასწარ მომზადებული პოზიციებიდან გაწეული გაფთრებული და მის მიერ მოტანილი კონტრიერიშებისა, დაკავებულია პუნქტი კასტელ-ფერეტტინო. ამერიკის მეხუთე არმიის ნაწილებმა წინ წაიწიეს ერთ-ერთ რაიონში.

ანგლიგერმანული ღივერსიები საფრანგეთში

რაბათი, 3 დეკემბერი (საკდესი). რაბათის რადიო გადმოგვცემს, რომ მონბელიარში (დუს დეპარტამენტი), სადაც ფრანგმა პატრიოტებმა ამ დღეებში მწყობრიდან გამოიყვანეს ქარხანა, რომელიც გერმანიისათვის მუშაობდა, ცეცხლის წაკიდების შედეგად ხანძარი გაჩნდა ოკუპანტების მიერ კონფისკებული სურსათის საწყობებში. სამრეწველო ქალაქ ბელფორის (შვეიცარიის საზღვრის მახლობლად) საწარმოებში განუწყვეტლივ მცირდება პროდუქციის გამოშვება, თუმცა ჰიტლერელებმა კვლავ გაადიდეს სამუშაო დღის ხანგრძლივობა. პროდუქციის შემცირება იმით აიხსნება, რომ მუშებს არა სურთ გერმანელებისათვის მუშაობა. გესტაპომ საწარმოებში გაგზავნა თავისი ჯაშუშები, ვიდრე შარშან. გაზეთი „სუო